საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ მაღლაკის წყალმომარაგების რეაბილიტაციის სამუშაოების მშენებლობის შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

(CPV-45232151 - მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო აღდგენითი სამუშაოები)

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

ქ.თბილისი
2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია 3

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 5

3. დამატებითი ინფორმაცია 9

4. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა..... 10

5. დანართი N2, პრეტენდენტის შეთავაზება 11

6. დანართი N3, საბანკო გარანტიის ფორმა 12

7. დანართი N4, ინფორმაცია განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ……..13

8. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N5, ხარჯთაღრიცხვა

9. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N6, პროექტი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1 იურიდიული პირებისათვის:

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

(2) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

(3) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

(4) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმე;

1.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

(1) პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;

(2) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

1.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

(1) ხარჯთაღრიცხვა ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N5–ის შესაბამისად და დანართი N6-ის (პროექტი) მოთხოვნების გათვალისწინებით.

(2) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება (რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა, ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ, ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ, ინფორმაცია სამუშაოს შესრულების ვადის შესახებ) დანართი N2–ის მიხედვით.

(3) ინფორმაცია 2008-2013 წლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ (დანართი N4-ის შესაბამისად).

(4) ინფორმაცია 2008-2013 წლებში შესრულებული სამშენელო სამუშაოების შესახებ, რომელთა ფაქტიური შესრულება არ უნდა იყოს 1000 000 ლარზე ნაკლები, მათ შორის ანალოგიური ან მსგავსი სამუშაოების შესრულება არ უნდა იყოს 270 000 ლარზე ნაკლები. მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

1.2 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.3 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს 160 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ; ელექტრონული გარანტიის საბანკო პლასტიკური ბარათიდან გადახდის შემთხვევაში - ტენდერისათვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

1.4 პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში-საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე არა უგვიანეს 30 დღისა.

1.5 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობოთ.

1.6 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.7 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

1.8 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.9 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

1.9.1 ხარჯთაღრიცხვა ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N5–ის შესაბამისად და დანართი N6-ის (პროექტი) მოთხოვნების გათვალისწინებით.

1.9.2 შეთავაზება (რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა, ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ, ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ, ინფორმაცია სამუშაოს შესრულების ვადის შესახებ) დანართი N2–ის მიხედვით.

1.9.3 ინფორმაცია 2008-2013 წლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ (დანართი N4-ის შესაბამისად).

1.9.4 2008-2013 წლებში შესრულებული სამშენელო სამუშაოების შესახებ, რომელთა ფაქტიური შესრულება არ უნდა იყოს 1000 000 ლარზე ნაკლები, მათ შორის ანალოგიური ან მსგავსი სამუშაოების შესრულება არ უნდა იყოს 270 000 ლარზე ნაკლები. მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

1.10 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

1.10.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ), ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) %–ის ოდენობით, დანართი N3–ის მიხედვით. პრეტენდენტის მიერ, სავარაუდო ღირებულებაზე მინიმუმ **20%-ით დაბალი ფასის** დაფიქსირების შემთხვევაში, ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ), ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ის ოდენობით.

1.10.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

1.10.3 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

1.11 ანგარიშსწორების პირობები:

1.11.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.11.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

1.11.3 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ 2014 წლის საკუთარი სახსრები.

1.11.4 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი-მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში “შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობისა, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარულ დღეში;

II ეტაპი-ეტაპობრივად, მიმწოდებლის მხრიდან შევსებული და შემსყიდველის მხრიდან ტექ. ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტისა (ფორმა 2) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 კალენდარულ დღეში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ის დაკავებით და წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსის პროპორციული დაქვითვით, ამასთან ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ „მიმწოდებელს“ დაექვითება ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილი სრულად;

III ეტაპი-ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 7,5%-ის ოდენობით;

IV ეტაპი-დანარჩენი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმდებიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის შემდგომ 15 კალენდარულ დღეში.

1.12 შესრულების პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

1.12.1 შესასრულებელი სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს დანართ N5–ში (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი N6-ში (პროექტი) მითითებულ პირობებს.

1.12.2 სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 7 (შვიდი) თვის განმავლობაში.

1.12.3 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპობრივად, მიმწოდებლის მხრიდან შევსებული და შემსყიდველის მხრიდან ტექ. ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით.

1.12.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმწოდებელს განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა. მითითებული ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

1.12.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველი საკუთარი სახსრებით ჩაუტარებს მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს ექსპერტიზას.

1.12.6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

1.13 ფასები

1.13.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა დანართი N5–ის და დანართი N6-ის (პროექტი) მიხედვით.

1.13.2 პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ხარჯთაღრიცხვაში ფასი უნდა მოიცავდეს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

1.14 საგარანტიო პირობები

1.14.1 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება არანაკლებ 1 (ერთი) წლიანი საგარანტიო ვადა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

1.14.2 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

შენიშვნა: სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელის ან პრეტენდენტის უფლება მოსილი პირის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით.

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(პროექტი)

2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1124 განკარგულების საფუძველზე

ქ. თბილისი —— ——————— 2014 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილის მისი დირექტორის ---------- სახით და მეორეს მხრივ, ——————— (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის——————სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს სამშენებლო სამუშაო შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ მაღლაკის წყალმომარაგების რეაბილიტაციის სამუშაოების მშენებლობის (CPV- 45232151 - მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო აღდგენითი სამუშაოები)** შესყიდვა.

2.2 შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა მოცემულია დანართი N_ (ხარჯთაღრიცხვა) და დანარტი N_(პროექტი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს ——————— (————————————) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიური შესრულებების მიხედვით.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ 2014 წლის საკუთარი სახსრები

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი-მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში “შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობისა, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარულ დღეში;

II ეტაპი-ეტაპობრივად, მიმწოდებლის მხრიდან შევსებული და შემსყიდველის მხრიდან ტექ. ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტისა (ფორმა 2) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 კალენდარულ დღეში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ის დაკავებით და წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსის პროპორციული დაქვითვით, ამასთან ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ „მიმწოდებელს“ დაექვითება ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილი სრულად;

III ეტაპი-ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 7,5%-ის ოდენობით;

IV ეტაპი-დანარჩენი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმდებიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის შემდგომ 15 კალენდარულ დღეში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენლები (ტექნიკური ზედამხდველი).

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6 შესყიდვის ობიექტის პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასრულებელი სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N–ში (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი N_-ში (პროექტი) მითითებულ პირობებს.

6.2 სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2014 _____ ჩათვლით.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპობრივად, მიმწოდებლის მხრიდან შევსებული და შემსყიდველის მხრიდან ტექ. ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმწოდებელს განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა. მითითებული ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

6.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველი საკუთარი სახსრებით ჩაუტარებს მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს ექსპერტიზას.

6.6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7 ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) ხელშეკრულების ღირებულების 5% (ხუთი)-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას. პრეტენდენტის მიერ, სავარაუდო ღირებულებაზე მინიმუმ **20%-ით დაბალი ფასის** დაფიქსირების შემთხვევაში, ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ), ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ის ოდენობით.

7.2 საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაბრუნება.

8 საგარანტიო პირობები

8.1 მიმწოდებელის მხრიდან, მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა ------ გამნავლობაში, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

8.2 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

8.3 შემსყიდველის მიერ დაკავებული თანხა (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%) წარმოადგენს მიმწოდებლის მხრიდან შესრულებული სამუშაოების გარანტიის ფინანსურ უზრუნველყოფას.

8.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უარს განაცხადებს საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტის IV-ეტაპის გათვალისწინებული თანხის გადახდაზე.

9 მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის _____ ჩათვლით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:
11.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.
11.2 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
11.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 (დღის) ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.4 ფორს-მაჟორული გარემოებების 30 დღით გაგრძელების შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	

3. დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ;

საკონტაქტო პირი:	**ნანა გახოკიძე**
ტელეფონი:	**+995 5 77 38 11 37; +995 32 2919060 (150)**
ელ.ფოსტა:	**n.gakhokidze@water.gov.ge**

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:
* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

პრეტენდენტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3.	ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:	
4.	ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:	სატენდერო დოკუმენტაციის 1.10 პუნქტის შესაბამისად.
5.	ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ (არანაკლებ 1 წელი):	
6.	ინფორმაცია სამუშაოს შესრულების ვადის შესახებ:	

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

ინფორმაცია 2008-2013 წლებში განხორციელებული სამშენებლო, ასევე ანალოგიური ან მსგავსი ხასიათის სამუშაოების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	შესრულებული სამუშაოს დასახელება	ვადები		დამკვეთი	შესრულებული სამუშაოს ღირებულება	შენიშვნა
		დასაწყისი	დასასრული			
1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						
16						
17						
18						
19						
20						

პრეტენდენტის ხელმოწერა_____